№ 239. 13 ნოემბერი, ხუთშაბათი 1866—1880 13 ნოემბერი, ხუთშაბათი № 239.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[illegible] Дроеба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკენომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

ფასი განცხადებისათვის

ერთი ასოიანი ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთი. ...ული ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

მომავალ 1881 წელს

## დროება-ივერიის

გამოცემაზედ

მომავალ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმთავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლების-და-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„ივერია“ კი მომავალის წლიდამ გამოვა თთვე-და-თთვე, ე. ი. წელიწადში თორმეტი წიგნი, და ყოველ წიგნში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა. რედაქცია იმედოვნებს, რომ ჟურნალი თავის დროსა და რიგზე გამოვა იმავე პროგრამმით, როგორც 1879 წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: Въ Тифлисъ. Въ редакцію **Дроеба-Иверіи**.

ფ ა ს ი:

| | 1 წლით | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ორივე ერთად — | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| „დროება“ ცალკე— — — | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| „ივერია“ ცალკე — — — | 7 „ | 4 „ | 2 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ { ილია ჭავჭავაძე, სერ. მესხი.

---

რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო დღევანდელს ნომრისთვის დამზადებული ფელტონი გაზეთში ვერ იბეჭდება.

---

ამ თვის ხუთს „დროება“-„ივერიის“ რედაქცია გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ, კარები პროსპექტიდამ, კლუბის კარების მარჯვნით.

---

## ტელეგრამმები

(ჩრდილოეთ სააგენტოსი)

პეტერბურღი, 11 ნოემბ. (ოფიციალურად) მემკვიდრე და მემკვიდრის მეუღლე გუშინ პეტერბურღში დაბრუნდენ.

სტამბოლი. „ვაქითი“ და ოსმალეთის სხვა ოფიციალური გაზეთები აცხადებენ, რომ პორტა თავის-დღეში არ დაუთმობს ნება-ყოფლობით საბერძნეთს ეპირსა და თესსალიას. ბერძნებს მათს მუქარაზე პასუხი მიეცათ, რომ ათინა გადამწვარ-გადაბუგული იქნებაო.

---

„მშაკის“ მზა პასუხი

„მართალია, ქართველებს სომხებსავით მდიდარი ისტორიული წარსული არა აქვთო.“

საკვირველია სომხის გაზეთი „მშაკის“ წინდაუხედაობა! ღლოცვილიშვილები „თავიანთსას სჭამენ, თავიანთსას სმენ და სხვის ძვირს ლაპარაკობენ!“ ვითამ ამისთანა ლობეყურეს მოდებით უნდათ თავიანთ გვარის ამაღლება და ქართველების დამცირება!..

ვინ ბრძანა, რომ ქართველებს სომხებსავით მდიდარი ისტორიული წარსული არა ჰქონდესთ? რით იციან და ან რით ამტკიცებენ ამასა? თუ თავიანთ მოსე ხორინელის ისტორიაზედ დაფუძნებულ არიან, ის მეტად საეჭვო და ზღაპრულად აღმოჩენილია დღეს ევროპიელ მეცნიერების თვალში, იქამდის რომ პირველს დროს მყოფის ტიგრან მეფითგან ჰხედვენ ძლივ სომხის გვარის არსობასა; იმის წინად ყოფილ ისტორიას კი ადგილობრივ ტომთაგან მოპარულად და შეთვისებულად ამბობენ.

ქართველთ ტომის არსობაზედ კი არ შეუძლიათ რამე ეჭვის შემოტანა არც ერთს მეცნიერსა; პირ-იქით მრთელი ქვეყნის თავი ისტორიული წყაროები კავკასიითგან იწყობა. კავკასიაში დასაწყისითგანვე ცნობილ არიან ქართველები პირველ ტომად განთქმულნი. აი რასა სწერს ევსებიო თავის ქორონიკონში: „224 წელი იუფლეს ბაბილონზედ შემდეგ ნებროთისა არიანელთ 8 მეფეთა, მერმე 459 წელი იუფლეს ქალდეველთ 49 მეფეთა, მასუკან 245 წელი იმთავრეს არაბების 9 მეფეთა და ბოლოს გამეფდა ნინი ქმარი სემირამიდისაო!“

ყოველნი მეცნიერნი, ძველნი თუ ახალნი, თანახმა არიან, რომ სულ პირველად მეცნიერება, წერვა-კითხვა, ვარსკვლავთ-მრიცხველობა ქალდეველებისაგან გავრცელებულია ქვეყანაზედ. ამათ პირველ სადგომს კავკასიაში აჩვენებენ: „ქალდეველთ მხნე ძლიერი ნათესავი სცხოვრებდა კავკასიაში; ესენი ფასით აძლევდნენ მწე ჯართა ასურასტნელ მეფეთა. ნაბუპალსარ მათ მხედართა, რომლის დროს გარდასახლდნენ ზოგნი ბაბილონისკენ და შემდგომ იუფლეს ბაბილონზედაო“. (ქსენეფონი, კიროს დარიგებაში, გ. წიგ.). ამასვე ამტკიცებს ეზეკიელი: „ძეო კაცისაო! განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგისასა, მთავარს როსს, მოსოხს და თობელსა და წინასწარმეტყველებდი მას ზედა: ამათ იტყვის უფალი ღმერთი: გარემოგაქციო შენ მრგვლივ და მივსცე ალვირი ღაწვთა შენთა და შეგკრიბო შენ და ყოველი ძალი შენი და ცხენნი და ცხენოსანი შენნი შემმოსველნი საჭურველთანი; (ლტ). სადღა დარჩეს სხვა ისტორიული საგნები დაშთენილნი ზღაპარსავით ბერძნებში, პრომეტეო (იგივე ღიდო), არგონაოსნების ამბავის მოლექსე ლინო კოლხიდელის მიჩნევა, რომ მუდამ თებაელნი მის ღღეობას ასრულებდნენ, ალექსანდრე მაკედონელის ამბავი, მირდატ ევპატორი და მისი ბრძოლანი რომაელებთან!.. კვლავ ქრისტიანობისა, მირიან მეფეს თვალი გადაავლონ, ვახტანგ გორგ-ასლანსა, დავით მეფე თაოსკარელ კურატ-პალატსა, ბაგრატ მეფესა, დიდ ბაგრატსა, დავით აღმაშენებელსა, რომლის ქველობით დაცულ არიან საქართველოს სომხობა, თამარ დედოფალი, ერეკლე მეფე! მგონია მრთელი თავიანთ ისტორია რომ დასჭრან, ვერც ამათთანა მდიდარს ისტორიულ ფაქტებს აღმოაჩენენ და ვერც ჩვენი ამ მეფებისავით ღმობიერ კაცთ მოყვარე ძლიერ მეფებსა!

„ჩვენი ძველი ლიტერატურისთანა მდიდარი ლიტერატურა არა აქვსთ: ჩვენი ახალი ენასავით მიმღეობა—წარმატების ნიჭი თანამედროვე მდიდარი ენა არა აქვსთო.

დიაღ გვაქვს ძველი მდიდარი ლიტერატურა; მაგრამ თითქმის ყველა ხელთ-ნაწერად და დაუბეჭდავად დაშთენილი მონასტრებში და კერძო პირებთან. იმისთანა ძვირფასი შეთხზული, შედგენილი და ნათარგმნი წიგნებიც გვაქვს, რომ მისთანა სომხებს არც კი აქვსთ, ისიც კათოლიკემ. მიხითარისტების შრომით და წყალობითა, არა თუ თავიანთი ცდითა: მუდამ იმათ უნდა უმადლოდნენ!...

ხოლო რაც შეეხება ენის სიმდიდრეს, ამას ამტკიცებს პოეზიები ვეფხვის-ტყაოსანი, დავითიანი და თამარიანი, რომანებში: დილარგიანი, ვისრამიანი, ამირან-დარეჯანიანი და სხ.

როგორც ძველ თხზულებაებზედ, ისე ახალ ენის დაწინაურებაზედ შეგვიძლია თქმა, რომ არც-ერთ ადგილს და არც-ერთს შემთხვევაში ქვეშ არ დარჩება ჩვენი ქართული ენა სომხურს ენასა... მაგიერად წარმოთქმითი, სიტკბოთი და ზრდილობიანი განწყობილებით და პოეტურის თხზულებით მუდამ მაღლა მდგარა ქართული ენა სომხურზედ და იდგება კიდეც...

ვინმე მესხი.

ხიზაბავრა, 28 ღვინობ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## ახალი ამბები

—

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ მოკლე ხანში ჩვენს ქალაქში მცხოვრებ უსახლ-კარო ღატაკ ხალხს თხოვნა შეუტანიათ სამოქალაქო სამმართველოში, რომ, რადგან ამ უკანასკნელ დროს ტფილისში სახლები ერთობ გაძვირდაო და ქირის მიცემა გვიჭირსო, გთხოვთ ქალაქის ალაგი მოგვეცითო, რომ ქოხები ავიშენოთ ჩვენთვისაო. როგორც გვითხრეს ამ თხოვნაზედ 700 კაცს აქვსო ხელი მოწერილი, რომელიც სულ ღარიბი ქართველები არიანო.

***

ერთი ავლაბრის მცხოვრებელი გვატყობინებს, ჩვენს უბანში ბევრი ისეთი ღარიბი ოჯახებია, რომელთაც ამ სიძვირეში ლუკმა-პური შემოაკლდათო და ამის გამო ქუჩებში მშიერი ბავშვები დარბიან და მათხოვრობენო. ამ ღარიბ ოჯახებს შეადგენენ მომეტებული ნაწილი ქიზიყელები, რომელნიც 1872 წელს ქიზიყში შიმშილობის დროს გადმოსახლდნენ ტფილისში და აქ, ავლაბარში, დაასახლეს.

***

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამასწინათ პეტერბურღში გარდაცვალებულს თ. იოანე გრიგორის-ძეს გრუზინსკის დიდი ბიბლიოთეკა ჰქონია. ამბობენ, სხვათაშორის, ამ ბიბლიოთეკაში იყოვო მეფის-ძის თეიმურაზის საქართველოის ისტორიაო, რომელსაც პირველი ნაწილი, ე. ი. ძველი ისტორია 1848 წელს დაიბეჭდა პეტერბურღში.

ეს ბიბლიოთეკა თ. ი. გრუზინსკის, როგორც შევიტყვეთ, შვეიცარიაში ჰქონდა, სადაც ის დიდხანს სცხოვრობდა. არ ვიცით — ამ ბოლო დროს მოიტანა ის პეტერბურღში, თუ არა.

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, სასურველია, რომ მიცვალებულის მემკვიდრეებმა უპატრონონ ამ ბიბლიოთეკას და ქართველობას არ დაუკარგონ ეს ძვირფასი განძი.

***

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ჩვენი გაზეთის ნომრები, რომელსაც რედაქცია, სხვათაშორის, იქაურ საქალებო გიმნაზიის შაგირდებს მუქთად უგზავნის, თითქმის არასოდეს არ მოსდის დანიშნულებისა-მებრ. ამბობენ, ერთი ვიღაც ოსტინავი (ეკონომი-ქალი) არის ამ გიმნაზიაშიო, რომელიც, მოვა თუ არა გაზეთი, იმ წამსვე დაავლებს ხელს ჯერ თვითონ წაიკითხავს და მერე კაბების თარგებად („ვიკრიკებად“) სჭრის და ამ ნაირად სარგებლობს ამ გაზეთის ფურცლებითაო!..

ნეტავი თუ მართალია ეს ამბავი?!.

***

ჩვენ მივიღეთ ოდესიდამ ჩვენებური ახალგაზდა მეცნიერის ბატ. პ. გ. მელიქიშვილის ქიმიური გამოკვლევა, სახელად **„О производпыхъ акриловой кислоты“**, რომელიც ქიმიის მაგისტრობის მისაღებად არის დაწერილი და ოდესის უნივერსიტეტში წარდგენილი.

***

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ:

„წინანდელს ნომერში თქვენის გაზეთისა და ტფილისის სხვა გაზეთებშიაც იწერებოდნენ ქუთაისში ხშირად ცეცხლის გაჩენაზედ. ქუთაისში გადაწვეს ორი რიგი დუქნებიო, რომლებშიაც საქონელი ჰქონდათ ყველა მეპატრონეებს „დასტრახული“ ცეცხლის მზღველ საზოგადოებაშიო; „სტრახის“ საზოგადოებამაც დააკმაყოფილა თითქმის ყველანიო.

„მაგრამ ჯერ-ჯერობით არავინ იწერება გაზეთებში უმეტეს შესანიშნავს ამბავს:

რაში დაიწყეს მოხმარება ქუთაისის ვაჭრებმა თუ აგენტებმა იმ ფულებისა, რომელიც იშოვნეს ცეცხლის გაჩენის მიზეზით? მე დაუკვირდი ამ საქმეს და ვხედავ ამ ნაირათ:

„ვისაც არაფერი არ დასწვია და კი მიუღიათ „სტრახის“ საზოგადოებიდგან ფული, ის ფული, რასაკვირველია, მეტი ლუკმა შეიქმნა მათთვის, მითი რომ ეყიდათ საქონელი არ დაეტეოდა მათ გაწერილებულს დუქნებში, ამისათვის შეუდგნენ შენობაებს. ამის გამო შენობის ოსტატი კაცი, ბერძენი და კალატოზები, რომელნიც მრავალნი არიან, ყველანი დასაქმიანებული შეიქმნენ, ყველანი ადგიან ცეცხლიდგან ნაზარალევს ვაჭრების და აგენტების საქმეებს, აკეთებენ სახლებს, სარების და ლობეების ადგილას სულ ქვითკირები ამოჰყავთ, ასე რომ ახლა ქუთაისის შენობებს სწორეთ გემოიანათ აკეთებენ მათი მეპატრონენი. თუ შენობის გაკეთების შემდეგ შენიშნეს მეპატრონეებმა რომელიმე ნაკლულევანება, იმ ნაკლულევანებას სულ მალე შეასრულებენ, გადიწვება სწრაფლად და მეთხუთმეტე დღეს შეუდგებიან ახალ შენობას!.....

„ორიოდე ჯერ რომ კიდევ წაეხმაროს ქუთაისის ვაჭრებს ცეცხლი, სწორეთ ქუთაისის შენობას ვენეციის შენობას დაამგვანებენ ვაჭრები.

„ზაგვიძვირდა ქუთაისში ყოველივე მასალა შენობისა, ველარც კლდეებმა გაუძლოთ და ველარც მთებმა ვაჭრებს. რაჭის მთა მოინელეს და ეხლა დაიწყეს მონელება ბირჯომის მთისა.....

ამ ჟამად ისეთი ტაქსია დაინიშნა ქუთაისში საშენებლის მასალების ფასად, რომ ამათ ფასს შეიძლებს მარტო ცეცხლიდგან „ნაზარალევი“ კაცი და არა უზარალო.“

—

# თეატრი

### ქართული წარმოდგენა

9 ნოემბერს.

„ორლანო და ლეკვი“, კომედია — სუმროკოვის ოთხ მოქმედებად, რუსულიდამ გადმოკეთებული თ. დ. ერისთავისაგან.

—

იშვიათად გვინახავს, რომ ასე ძლიერად ეჩინოს თავი რომელიმე წარმოდგენის დროს ჩვენის აქტიორების თითქო თან-ნაშობს სენს — როლის უცოდინარობას, და იმ დროსვე ისე რიგიანად ჩაევლოს წარმოდგენას, როგორც წასრულს კვირას. ეს ერთის მხრით იმას უნდა მიეწეროს, რომ თვით პიესა ძალიან სცენიკური პიესაა და მეორეს მხრით — რომ უმთავრეს როლებს — ანჩხლაძისას, მისი ცოლისას და ნენესას სრულის ხელოვნებით თამაშობდენ უკეთესნი მოთამაშენი — ქ. ჭიჭიანი, აბაშიძის — საფაროვისა და ნ. ზაბუნია, თუმცა, პირველი ორს ხან-და-ხან როლის უცოდინარობა უშლიდათ.

ანჩხლაძე პიესის დაწყებიდამ ბოლომდე თითქმის სულ სცენაზეა, პირველი სიტყვიდამ უკანასკნელამდე მას ეჭირვება ნამდვილი არტისტული თამაში, სასცენო გამოცდილება, რომელიც, თქვენც მოგეხსენებათ, ზემოხსენებულ პირველის თვისების მარჯვენაა. მაგრამ ისე არც ერთს ალაგას არ არის ყველა ეს თვისებანი საჭირო, როგორც მეორე გამოსვლაში საუზმის დროს (ჩუმი სცენა,) როცა ბიჭი წყალობით აჭყაპინებულ არლანის და ქალბატონის ლოგინში ჩაწვენილის ლეკვის გამო ერთმანეთზე წინადვე გაბუტულნი ცოლ-ქმარნი (ანჩხლაძე და მარიამ) ხელ-ახლად ბუტიაობენ და უსიტყვოთ, ხელგამოუღებლად კიდეც ილანძღებიან, კინწლაობენ და ერთმანეთს დასცინიან. ამ დროს, როგორც თვითონ ანჩხლაძის ისე მარიამის თამაში ერთ რიგსავე სიძნელეს წარმოადგენს. ეს ადგილი „სასცენო მანგია აქტიორებისათვის, აქ შეეტყობა — ვინ არის ნამდვილი არტისტი, ვის ესმის სცენის ხელოვნება და ვის არა. ქ. ჭიჭიანმა და მ. აბაშიძის — საფაროვისამ აქ ერთხელ კიდევ გაამართლეს ჩვენი აზრი მათზე, ერთჯელ კიდევ სრულად დაგვანახვეს თავიანთი ნიჭი, რომელსაც შესწევს დიდი ხნის გამოცდილება და ჯეროვანი ხელოვნება.

მეორე „დალოცვილი“ ადგილი ამ მოთამაშეთათვის არის სცენა სასამართლოში, როცა ისინი კიდევ ებუტებიან ერთმანეთს. აქაც იგივე არტისტული თამაში დაგვანახვეს და, საზოგადოდ, მთელი წარმოდგენა იმათ დაამშვენეს ნ. ზაბუნიას ქალითურთ, რომელიც ნენეს როლს ასრულებდა.

ეს როლი — კოპწია აქტრისის მოხუცებული დედობა — იმისთანა როლია, რომ ერთს მეტს სიტყვას, სახისმეტყველებას და მიხვრა-მოხვრას სულ შეუძლია მთელი თამაშის შთაბეჭდილება, რაც უნდა ჩინებული იყოს იგი, გააქარწყლოს [illegible] ზიზღად აქციოს. მართალი გითხრათ, ჩვენც, ზაბუნიასაგან გადაჭარბებას დაჩვეულნი, ამ რიგს შედეგს მოველოდით, მაგრამ ჩვენდა სასიამოვნოდ, მოლოდინი გაგვიმტყუნდა. ნენეს როლი ბრწყინვალედ იქმნა შესრულებული. კოპწია და „განზე კუროებ გაჩენილ“ ქალიშვილისაგან დაჩაგრული მოხუცებული დედა, შესაფერის მიხვრა-მოხვრით, ლაპარაკით, გულმოსვლით და მოფერებით — თავის ნიჭის საკადრისად, უნაკლულოდ გამოგვისახა იმან. დალოცვილს თუ ასე ადვილად შეუძლია „გადაჭარბებას“ თავი დაანებოს, რატომ ასე არ მოიქცევა ყოველთვის — ღმერთიც დაუმადლებს და კაციც, და ეს ხომ ათას წილ სჯობია რაიოკის „ბრავო“ და „ბისს?“

მინას მანჯანოვის როლი თუმცა უმთავრესი როლი არ არის ამ პიესაში, მაგრამ თავის კომიკური ხასიათით იმისთანა თამაშს თხოულობს, რომ თუ არ ნამდვილი არტისტი ისე მისი რიგიანად შესრულება შეუძლებელია. ვასილ აბაშიძემ, მოლოდინისამებრ ჩინებულად აასრულა და მასთანვე ოსტატურად დაჰფარა როლის უცოდინარობა. უმთავრესი ღირსება ამ როლში აბაშიძის თამაშისა ის იყო, რომ იმან თავი დაიკავა გადაჭარბებისაგან, რომელსაც ასე ადვილად შეუძლია გაიტაცოს ამ როლის ამსრულებელი, მეტადრე მეორე მოქმედებაში, როცა მანჯანოვს მისს საყვარელ ბაიათოვის ქალთან ნახავს მისი ცოლი, და შეშინებული მინასი ნენეს ამოეფარება.

ძარვად იყო წარმოდგენილი მომრიგებელ მოსამართლის და პისმოვოდიტლის როლები, რომელნიც უმთავრესს ყურადღებას იქცევენ მესამე მოქმედებაში, (სცენა მომ. მოსამ. კამერაში).

ზ. მაჩაბელმა ოსტატურად აასრულა პირველი — მომრიგებელ მოსამართლის — როლი, რომელიც თუ არ გამოცდილს აქტიორსა სირცხვილს აჭმევს და ტაშის მაგიერ საზოგადოებისაგან დაცინვას მიაღებინებს. უფრო მოსაწონი მისს თამაშში ის ადგილი იყო, როცა ნარდში ფულის წაგებით წვეულის სევდის გასაქარვებლად იგი სიტყვით მიჰმართავს წაჩხუბებულ ცოლ-ქმარს — ანჩხლაძიანთ, თავის სალაპარაკო საგანი ავიწყდება და ნარდზე და კამათლებზე ბოდიალს იწყებს.

პისმოვოდიტელს — ნ. თომაშვილს ისეთი სახის-მეტყველება ჰქონდა და ისე ეჭირა თავი სცენაზე, რომ ვისაც არ უნახავს რუსის „ჩინოვნიკი,“ უფროსებთან ქვე-მძრომი და მათი ფეხთა-მლოკავი ის ამ მოთამაშის შეხედვით ამ ტიპის ჭეშმარიტს იდეალს შეიმცნევდა.

დანარჩენი მოთამაშეები კი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, როლის უცოდინარობაში. როცა ამისთანა ჯიბრია მაშინ, რასაკვირველია,

სცენაზე რიგიანს თამაშს ადგილი არ ექნება. ახლაც ასე იყო: როგორც ერთმა მეორის უარესად ზეპირად იცოდა როლი, აგრეთვე ერთი მეორის უარესადაც თამაშობდა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ამ ნაკლით ნენეს ქალიშვილის—კოპწია აქტრისის როლის ამსრულებელმა—ნ. ხეიძემ და და ა. მოხევემ.

როლის უცოდინარობის წყალობით, წრეს გასული ცქვიტი ქალიშვილის მაგიერ ნ. ხეიძემ ჩვენ წარმოგვიდგინა რაღაც ზანტი მანდილოსანი, რომელსაც არა თუ აქტრისობა და ახალ-მოდური კოპწიაობა, არამედ ხმის ამოღებაც ეძნელება და თამამად ლაპარაკსაც ვერ ახერხებს. უეჭველია, ამ მოთამაშეს ნიჭი ეტყობა, (რაზედაც წინანდელ წარმოდგენების დროს დავარწმუნა), და ამას შესწევს ბუნებითი სილამაზე; მაგრამ, შენი მტერი თუ ახლაც როლის დაუსწავლელობას შეეჩვია და ამითი ფრთა მოჰკვეცა თავის ნიჭს...

ადვოკატის პოხტალოვის როლი ერთი ისეთი „ცოცხალ“ როლთაგანია, რომ მისი რიგიანად ასრულება ალტაცებაში თუ არ მოიყვანს საზოგადოებას, უეჭველია, საკმაო სიამოვნებას მაინც მოჰგვრის. მაგრამ არცერთს ამას ადგილი არ ჰქონია ა. მოხევისაგან როლის ცუდად წარმოდგენის „წყალობითა.“ ან როგორ უნდა წარმოედგინა, რომ თავის როლიდამ ერთი სიტყვაც არ იცოდა და იქვე, ხელად სცენაზე თვითონ იგონებდა სალაპარაკოს და ბორძიკით, ჯვარცმულის ქართულით სამს წამში ერთს სიტყვას ძლივს იტყოდა? მისგან თქმული „საქმეებთა ზედა შინა,“ იმედია დიდ-ხანს არ დაავიწყდება წარმოდგენის დამსწრე საზოგადოებას.

ჭ.

# რუსეთი

—

**პეტერბურღი**, 6 ნოემბერს. („დროების“ კორრესპონდენცია.) ამას წინათ სასაცილო საქმე გაირჩა ხარკოვის პალატაში. თურმე ერთ სოფელში ერთ საწყალს გლეხის დედა-კაცს შუბლზე კოპი აჯდა. იმ სოფლის მამასახლისს ეს კოპი არაფრათ მოსწონდა. ერთხელ მიუბრუნდა ამ დედა-კაცს და უბძანა უთუოდ მოეჭრა იმას ის კოპი. რასაკვირველია, იმან არ გაუგონა. მაშინ შეუტია და უთხრა:

— როგორც მამასახლისი გიბძანებ ევ კოპი მოიჭერ თორემ ძალით მოგჭრიო.

— რა ვქნა, ღმერთს ჩემთვის ესე უნებებია და იმის წინააღმდეგს მე როგორ ვიზამო. მიუგო თურმე საწყალმა ბებერმა.

— როგორ თუ ეს მითხარიო, დაამწყვდიეთ გომურშიაო!

საწყალი დედა-კაცი რამდენიმე ხანი დამწყვდეული იყო მამასახლისის ბძანებით. რომ გამოუშვეს, სასამართლოში საჩივარი შეიტანა და, რასაკვირველია, მამასახლისმა ამ გვარი თანამდებობის ასრულებისათვის ციხეში ჯდომის ჯილდო მიიღო.

მეორე საქმე შარშან იმაზედ შედგა, რომ ერთ რუსეთის სოფელში გლეხკაცებმა ერთი დედა-კაცი დასწვეს—კუდიანიაო.

ცხვირის და ყურის მოკვნეტა ჩხუბის დროს რუსის გლეხ-კაცობაში იშვიათი არ არის.

აქედგან შეგიძლიან, მკითხველო, საჯო—თუ როგორი სიმართლე ჰქონდა აქაურ გამოჩენილ ადვოკატს ალექსანდროვს, როდესაც იმან ურიების საქმეზედ ქუთაისის ოლქის სასამართლოში წარმოსთქვა, რომ ქართველი გლეხკაცები მეტად ველური ხალხიაო; არ შეუძლიანთ არც დროს არც ადგილის ვითარება შეიგნონო!

გარდა ალექსანდროვისა სხვებიც ბევრნი არიან, რომელნიც გლეხ-კაცებს გარდა, ჩვენ საწყალ თავად-აზნაურებსაც დასცინიან, ეძახიან დაფხრეწილ ლატაკებს, ხეპრეებს, აბრაგებს და სხვ.

იმ დღეს აქაურ ოლქის სისხლის სასამართლოში გაირჩა ერთი უსიამოვნო აქაურ კეთილშობილებისათვის საქმე. ბრალდებულთ სკამეიკაზედ იჯდა ერთი აქაური თავადიშვილი ენგალიჩოვი. ამ ენგალიჩოვს აბრალებდნენ უბიდგან ქისის მოპარვას. გარჩევის დროს აღმოსჩნდა, რომ როდესაც თურმე მოასწრეს, დაიჭირეს და პოლიციაში წააბრძანეს იქ ამ წარჩინებულ თავადს პოლიციის ჩინოვნიკმა რამდენიმე სილა უთავაზა.

არ არის დიდი ხანი მოსკოვში ერთი დიდი საქმე გაირჩა, ამ საქმეს უწოდებდნენ „ჩერვის ვალეტებისას“. მრავალი კაცი იყო გარეული და სამართალში მიცემული. მათ აბრალებდნენ სხვა და სხვა ავკაცობას, ავაზაკობას და რამდენიმე სხვა კანონის წინააღმდეგ საქციელს. უმთავრესი მათი ბაირაღტარი იყო თავადი დოლგორუკი.

ბევრგვარი საქმეები ირჩევა რუსეთში სისხლის სასამართლოებში, სადაც ხშირათ მომქმედ პირათ თავადები გამოდიან. მახლას..... საწყალი ჩვენი გლეხობა და თავად-აზნაურობა...

დროებითი პეტერბურღელი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდის.

**ორშაბათს**: ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—სირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს**: ექ. მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს**: გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს**: ჟურავლევი—ყელისდა გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი—ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს**: გავრონსკი—ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი—ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს**: ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრეხტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.


# განცხადებანი

—

**ოქრო-ვერცხლის ნივთების გასყიდვა ჯანჯულაზოვის მაღაზიაში**, კონკურსის უპრავლენიის განკარგულებით, დანიშნულია ამ **ნოემბრის** 16-ს, კვირას, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ.

(4—1)

## ჯანჯულაზოვების მაღაზიაში

გაისყიდება ნარდათ და ნაწილ-ნაწილად, უტორგოთ, 120 ფუთი ყავა, ჩაის ქაღალდი, 14 წიგნი და ვოდკები: პაპოვისა და შტრიტერისა 40 ისჩიკი, პრობკები 20 ფუთამდინ, შამპანის ღვინო სამზღვარ გარეთისა და რუსეთისა. ჩაი ისჩიკებით 18 ფუთიანი, აგრეთვე სხვა და სხვა ფეხსაცმელები და კალოშები.

ვისაც ამ საქონლის ნარდათ ანუ ნაწილ-ნაწილად ყიდვა ჰსურს, ნახვა საქონლისა შეუძლიან მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ, ყოველ მყიდველს შეუძლიან მიჰმართოს კონკურსის წევრებს, რომელნიც გასყიდვის დროს მაღაზიაში იმყოფებიან.

(6—1)

### მთავარი კანტორა დანდობით ამხანაგობისა

# „იაგორ კასუმოვი და ამხ.“

ერევნის მოედანი გ. ჯაყელის სახლი.

ყიდულობს და ჰყიდის ყოველ ნაირ სარგებლიან ქაღალდებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქაღალდების და 5% მოგებითი სესხის ბილეთების გირაოთი ერთიდამ 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.

სხვა ბანკებში დაგირავებულნი % ქაღალდები შეიძლება კანტორამ გამოიყიდოს და თვითონვე დაიგირაოს სესხის მომატებით.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებ მოვალეთა შეუძლიათ % ქაღალდები ფოშტით გამოგზავნონ კანტორის სახელობაზედ, და კანტორა დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაუწყი ადრესით ფულებს და ვასხებითი ხელშეკრულობას.

კანტორა იღებს ფულებს, რომელზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

| | | |
|---|---|---|
| 1) შემონახულებათა ანგარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე | — — | $4^1/_2$ / |
| საპირობო ანგარიშისასამებრ | — — — | 5 — |
| 2) 6 თვით ვადით შეტანილ ფულზე | — | $5^1/_2$ — |
| 12) თვის | — — — | 7 — |
| ერთი წლის მეტით | — | 8 — |

3) საგანგებო პირობებით შემოტანილ ფულზე ამხანაგობის 1 ხარისხის პაის პატრონთა. — 9 —

შემოტანილ ფულების % ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელდობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება % თავიდამვე გადახდილ იქმან.

კანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმნას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5 % ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც კანტორა იძლევა შემოტანისთანავე,

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფოჩტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაეგზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს, ცნობილ პირთა თავდებით, კანტორა ახდევინებს:

| | | |
|---|---|---|
| თვე-და-თვე გადასახად სესხზედ | — — — — | 10 % |
| კვირაში ერთხელ | — | 9 — |

ვადამდე გადუხდელობით სესხი მიეცემა ფირმასთან საგანგებოდ შეთანხმებით.

ქიდის მოგებიან 5 % ბილეთს ორივე სესხისას, შემოსატან გადასახადის დროებით; ამასთანავე ბილეთის მყიდველს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადამხდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ხვდეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხს ტირაჟში.

Iლებს შეკვეთას Oდესის ექვს სხვა-და-სხვა ნაირ მშვენიერ თესლების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხვ. და სხვ. ზომიერ ფასებით. ამ სანოვაგეთა ნიმუშების ნახვა შეიძლება მთავარ ანტორაში.

სრული და დაწვრილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 საათამდე.

(10—4)

---

მომავალის 1881 წლის პირველის იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი

## „მიმოხილვა“

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარი წლისა ოთხი-და-ათი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანის და ამხ წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის შენობაში № 1 და 2 და თვით რედაქციაში გიორგიევის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლებში, № 11.

გარეშე ხელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Гр. Чарквіани.

რედაქტორი და გამომცემელი ნინო გაბაშვილი.

(5—3)

---

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება

## პეპო

თხზულება გაბრ. სუნდუკიანცისა ავტორისგანვე ქართულად ნათარგმნი. ისყიდება: შავერდოვის სააგენტოში (ბულვარზე), ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში (არწრუნის ქარვასლაში) და მრიქურროვის წიგნის მაღაზიაში (ზუბალოვის შენობაში, ხიდთან.)

ფასი 40 კაპ.

(5—3)

---

„პირუტყვთა დამცველი Tფილისის საზოგადოების“ გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ საწევრო ხვედრი ფული წარადგინონ საზოგადოების ხაზინადართან ბატ. ქასუმოვთან იმის სავაჭრო სახლში, Eრევნის მეიდანზე, ჯაყელის სახლში. ვინც ამ ნოემბრის 20-მდინ ფულს არ შემოიტანს წევრობიდგან გამორიცხული იქნება.

5—3

---

ტფილისში

## შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის.

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: Въ Тифлисъ, въ газетное агентство **В. Шавердова**

(25—3)

---

ჯანჯულაზოვის საქმეების კონკურსის უპრავლენიის განკარგულებით ჯანჯულაზოვების დიდს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში გაისყიდება სხვა-და-სხვა საქონელი და თუჯის ფეჩები ნარდათ და ცალკ-ცალკე მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევს 2 საათამდინ და საღამოს 5-დამ 8-მდინ.

კურატორი პ. ლებედინსკი.

5—5

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამო-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან, გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის შომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—5)

---

## ვილეგ

### ეკკლესიის კანკელს

ყველა მოწყობილებით და სახლის მოწყობილების ჩუქურთმას მოსაქრელად.

ჩემი ქარხანა იმყოფება საპიორნის ქუჩაზედ, ბირძენოვის სახლში, № 18

კანკელისა და მებელის ჩუქურთმის მჭრელი

დავით ივანეს-ძე გიგაური.

(10—10)

---

### შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—68)

---

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| შავადარეთ წვენი ჩაი—1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის—1 მ.40 კ. |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—51)

---

### კონკურსის მმართველობამ

ჯანჯულაზოვების საქმეებისამ დანიშნა დაყიდვა განსაკუთრებით სამზღვარგარეთის ღვინოებისა, წყლებისა, ლიქერებისა და უმაღლეს ხარისხის სიგარებისა - ჯანჯულაზოვების უმთავრეს მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე მირიმანოვის სახლებში 2 ნოემბერს კვირას დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდე.

(2—2)

---

### ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ერთის თვისგანმავლობაში, 1 ნოემბრიდამ 1 ქრისტეშობისთვემდინ.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირვ. | 5 კ. |
| მეორის „ | — 1 გირ. | $4\frac{1}{2}$ |

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირვ. | $6\frac{1}{2}$ კ. |
| მეორის „ | — 1 გირ. | 5 |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გირ. | $7\frac{1}{2}$ |
| მეორის „ „ | 1 გირ. | 6 კ. |
| მესამის „ „ | 1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | — 1 გირ. | 7. |
| სუკი | — 1 გირ. | 14 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 |
| თხის ხორცი | — 1 გირ. | 7 |
| ღორის ხორცი | — 1 გირ. | 10 კ. |

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც Tფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

---

ახალგაზდა კაცი, მცოდნე ორზომა-იტალიანური ბუხგალტერიისა მსურველია იმეცადინოს სადილს შემდეგ საკუთარს კანტორაშიაცა. ამასთანავე აძლევს გაკვეთილებს, როგორც ბუხგალტერიის ნაწილისა ისე ყოველივე საგნებში პროგიმნაზიის კურსისა.

Iკითხოს: 5 უჩასტკაში სურპნიშნის ქუჩა საკუთარ სახლებში, № 17-ში იაკობ ტერ-აკოფოვი.

5—4

---

### პატენტიანი შჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარჭევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—78)

---

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით

პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოს ეფენდისთან

თხზულება ს. ბეგიაშვილისა

ფასი 70 კაპ.

10—7

---

ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ჭრაი.

(20—18)

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Ноября 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.